სამშობლოს ჯილდო გვაქვალებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ სამშაბათი 14 თებერვალი 1978 წ. □ № 38 (17082) □ ფასი 2 კაპ.

კიდევ უფრო მაღლა ალვმაღართთ საყოველთაო-საზალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

პატივი და დიდება შეჯიბრების მედროშეებს!

ᲔᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡᲐ და სოფლების მშრომელები აღმშენებლობითს ენერგიას, ენთუზიაზმსა და ნებისყოფას დღეს ხუთწლედის მესამე წლის გეგმების წარმატებით შესრულებას ახმარენ. მიმდინარე წლის დიდი და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტა კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა.

მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის მრავალმილიონიანი მასების შრომითი აქტიურობის ზრდა შესანიშნავად გამოიხატა სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით. ჩვენი პარტია და სახელმწიფო. საბჭოთა ხალხთა გადაგებრობა ყოველ ღონეს ხმარობენ მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. უზრუნველყოფენ ამ მიზნით მძლავრი მორალური და მატერიალური სტიმულების ფართოდ გამოყენებას, ღირსეულად აღნიშნავენ და ახალისებენ მოწინავეთა მაგალითსა და გამოცდილებას, ამას ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ცხადყოფს გუშინ გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეხახებ.

საბჭოთა ადამიანებმა მხურვალედ მოიწონეს ეს დოკუმენტი. მასში მაღალი შეფასება მიეცა და დამსახურებულად დაჯილდოვდნენ ისინი, ვინც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მომოვებული შესანიშნავი წარმატებებით, უმაღლესი შედეგებით აღნიშნა. გამარჯვებულებად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოეს რუსეთის ფედერაცია, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლატვიის, სომხეთის მოკავშირე რესპუბლიკები, მოსკოვი და ლენინგრადი. სამაგალითო ჯილდო მიეკუთვნა 37 ავტონომიურ რესპუბლიკას, ნაწილს და ოლქს, ას ქალაქსა და ქალაქის რაიონს, ორასზე მეტ ავტონომიურ ოკრუგსა და სასოფლო რაიონს, გაერთიანებების 1500-ზე მეტ კოლექტივს. მათ ხელმძღვანელობენ, საწარმოებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს, 760 საუკეთესო შრომითი კოლექტივი შეტანილია საკავშირო სპატაკო დაფაზე.

შეჯიბრების გამარჯვებულთა დაჯილდოებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. იგი უეჭველია დიდ დამრაზმველ და შთამაგონებელ როლს შეასრულებს, რათა საბჭოთა ადამიანებმა კვლავაც იმუშაონ სკკპ XXV ყრილობაზე მიღებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის, მეათე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის. ამ დაძაბული მუშაობის პროცესში დღენიადაგ იბადება მასობრივი ინიციატივის ახალი გამოვლინებანი, სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები, რომლებიც სულ უფრო მეტად იყრის თავს ეფექტიანობისა და ხარისხის პრობლემების გარშემო.

ჯეროვნად აფასებს რა მოწინავეებს, დადგენილება პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს მიზნად უსახავს ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზონ შეჯიბრების შედეგები. მიღწეულ წარმატებათა განზოგადებასთან ერთად ასეთი ახალი ნი შესაძლებლობას მოგვცემს გამოვავლინოთ გამოუყენებელი რეზერვები, ნაკლოვანებანი, რომლებიც მოძრაობის წინსვლას აფერხებს. „შეჯიბრების პროცესში ვლინდებიან არა მარტო მოწინავენი და გამარჯვებულნი, არამედ ჩამორჩენილნიც, — თქვა პროფკავშირთა XVI ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — ამით შეჯიბრება საშუალებას გვაძლევს თავი მოვუყაროთ ძალებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, ჩამორჩენილი უბნების დასაწინაურებლად და, საბოლოო ანგარიშით, საერთო აღმავლობის დასაჩქარებლად“.

საჭიროა განვსაზღვროთ მუშაობაში ხელშემშლელი მიზეზების აღმოფხვრის გზები, რათა განვამტკიცოთ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი შეჯიბრების შრომითი შემართება და რიტმი და ახალი წლის პირველი კვირებიდანვე უზრუნველვყოთ, რომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, რაიონმა, ქალაქმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ გადაჭარბებით შესრულოს სახელმწიფო საგეგმო დავალებები, სოციალისტური და სახელშეკრულებო ვალდებულებები.

ამისათვის ჩვენ ყველა პირობა და შესაძლებლობა გვაქვს. მათი ყველაზე სრული გამოყენება ბევრად არის დამოკიდებული სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და მიზანდასახულობის ყოველნაირად გაუმჯობესებაზე. საჭიროა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ მისი დონისა და ქმედითობის ამაღლების ღონისძიებანი იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოწინავე კოლექტივებისა და მუშაკების, სოციალისტური შეჯიბრების მედროშეების, შრომის უფრო პროგრესული ფორმებისა და მეთოდების თაოსნებას გამოცდილების შესწავლასა და გავრცელებას. ცნობილია, რომ უარშან შვიდ მილიონ-ნაპირგაბზე მეტმა მშრომელმა, საამქროების, უბნების, ცვლებისა და ბრიგადების ას ორმოცდაათმა ათასმა კოლექტივმა, დაასრულებლად ხუთი ათასმა საწარმომ საიუბილეო თარიღისათვის შეასრულა ხუთწლედის ორი წლის დავალებანი. განუწყვეტლივ იზრდება შრომითი ფერონტის მოწინავეთა რიცხვი, რომლებიც დროს უსწრებენ. ფართო პროპაგანდა გავუწიოთ და დავნერგოთ მათი გამოცდილება მასებში — ხიშვნავს გამოვიყენოთ შრომის ნაყოფიერების, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების უმნიშვნელოვანესი რეზერვები.

დღითი დღე სულ უფრო იზრდება სახალხო ინიციატივის ნაკადი. იგი ნათლად ვლინდება გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებსა და შემხვედრ გეგმებში. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ მასების ამ პატრიოტულ მოძრაობას, უზრუნველყონ, რომ ფართოდ გავრცელდეს საყურადღებო თაოსნობები და ინიციატივები. რომლებსაც იჩენენ წარმოების მოწინავეები და ნოვატორები, საუკეთესო კოლექტივები 1978 წლის 7 ოქტომბრისათვის — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის ხუთწლედის სამი წლის დავალებათა შესასრულებლად გაშლილ შეჯიბრებაში.

პარტია საბჭოთა ადამიანებს რაზმავს ხუთწლედის სულ უფრო მაღალი მიჯნების მისაღწევად. მხურვალედ მიესალმა რა შეჯიბრების გამარჯვებულებს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელები, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, კიდევ უფრო მაღლა ასწევენ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშას, მიაღწევენ ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში. და ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ადამიანები ამ რწმენას სახელოვანი შრომითი მიღწევებითა და გამარჯვებებით განამტკიცებენ.

„პრავდის“ 13 თებერვლის მოწინავე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სამშენებლო, სამონტაჟო, საპროექტო ორგანიზაციების, მინერალური სასუქებისა და ქიმიური მოწყობილობის საწარმოების კოლექტივების ინიციატივა 1978 წელს სასუქის მრეწველობის, ქიმიური მანქანათმშენებლობის სიმძლავრეთა ამოქმედების დაჩქარებისა და ათვისების და ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის იმ წერილის პასუხად, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელ მოუწოდებს 1978 წელი გადააქციონ დამკვრელური შრომის წლად და მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ გეგმები, სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს „აპატიტმშენის“ ტრესტის, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს „სუმქიმმშენის“, „სუმქიმმანქანათმშენის“ და სოლიგორსკის № 3 ტრესტების, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანების „სამარყანდქიმმშენის“ და „ჩარჯოუქიმმშენის“ ტრესტის, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს „კუიბიშევჰიდრორომშენის“ სამმართველოს, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს ორგანიზაციებისა და საწარმოების, ქიმიური მრეწველობის ქარხნების საპროექტო ხახელმწიფო ინსტიტუტისა და ახოტის მრეწველობის და ორგანული სინთეზის პროდუქტების საეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის, „აპატიტის“, სუმის „ქიმმრეწვის“ და „ბელორუსკალუმის“ საწარმოო გაერთიანებების, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს სამარყანდის, ჩარჯოუს სუპერფოსფატისა და ტოლიატის აზოტის ქარხნების, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს ურალის, ძერჟინსკის, რუზაევკის, უზბეკეთის ქარხნებისა და სუმის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის მანქანათსაშენებელი საწარმოო გაერთიანების კოლექტივებმა ეაითვალისწინეს, თუ რა განსაკუთრებით დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მინერალური სასუქების მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებას, და გამოიჩინეს ინიციატივა, რომ „მუშური ესტაფეტის“ პრინციპით გაშალონ კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრება სასუქის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეების, ავრეთვე მათთვის მოწყობილობის მიმწოდებელი ქიმიური მანქანათმშენებლობის საწარმოების ვადამდე ამოქმედებისა და ათვისებისათვის და ამ გზით ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების, ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს მინერალური სასუქებისა და ქიმიური მოწყობილობის სიმძლავრეთა აკეგებაზე დასაქმებულ საწარმოთა და საპროექტო ორგანიზაციათა კოლექტივების მიერ მაკისრა კომპლექსური სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებს საწარმოო სიმძლავრეთა ვადამდე და დროულ ამოქმედებას და ათვისებას და ამ გზით ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, შესაბამის პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს რეკომენდაცია ეძლევათ საჭირო ორგანიზაციერული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გასწიონ, რათა მინერალური სასუქების საწარმოთა ყველა მშენებლობაზე და იმ საწარმოებში, რომლებიც ტექნოლოგიურ და მაკომპლექტებელ მოწყობილობას უკრავენ თან, გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება „მუშური ესტაფეტის“ პრინციპით. მთავარი ყურადღება დაუთმონ შიდასამეურნეო რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების, განსაკუთრებით ბრიგადული ალარის დანერგვას, მშენებლობებზე და საწარმოებში სამეურნეო საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახემმართველოს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ გამახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა კოლექტივებმა შეასრულონ 1978 წლის სოციალისტური ვალდებულებანი და დავალებანი, რომლებიც ითვალისწინებს სასუქის მრეწველობისა და ქიმიური მანქანათმშენებლობის სიმძლავრეთა ზრდას და მინერალური სასუქების ზეგეგმითს გამოშვებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გავითვალისწინოთ საუკეთესო წლის გამოცდილება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების 1978 წლის იანვრის შედეგები და მეათე ხუთწლედის მესამე წლის პროგრამის წარმატებით განხორციელების ამოცანები.

მოსმენილ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის გ. ვ. კოლბინის მოხსენება.

მოხსენებაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პაპარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ე. ი. დუდჩენკო, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე, „თბილისჯალაქმშენის“ უფროსი ო. ვ. კიკნაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. დ. ბედიუკაძე, პარტიის თბილისის ჩაჩარნო რაიკომის პირველი მდივანი რ. ა. გოგლიძე, „საქფრინველმრეწვის“ გაერთიანების მმართველი ვ. ი. გვარჯალაძე, „საქცხოველმრეწვის“ გაერთიანების მმართველი ჯ. ი. ჩხაიძე, „საკოლმშენის“ უფროსის მოადგილე ა. ი. მონიავა, საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის მეორე მდივანი თ. კ. მიქაძე.

განხილვის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

გეგმის შესრულების იანვრის შედეგებისა და ხუთწლედის მესამე წლის პროგრამის წარმატებით განხორციელების ამოცანების განხილვისას მომხსენებელი და სხვა ორატორები ხელმძღვანელობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის გადაწყვეტილებებით. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ 1978 წლის პროგრამის შესასრულებლად ორგანიზატორული საქმიანობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შარშან შეძენილი გამოცდილება და მიღწეული წარმატებანი.

1977 წელს გადაწყდა რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების მთელი რიგი პრობლემები: განმტკიცდა დისციპლინა, შემცირდა ჩამორჩენილ საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა რიცხვი, ამაღლდა პროდუქციის და საერთოდ მუშაობის ხარისხი, რამდენადმე გაუმჯობესდა მშენებლობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვა, მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში, რის შედეგად საქართველოს სსრ ზედიზედ მეხუთედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით 1977 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ამასთანავე, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში ზოგიერთი ნაკლიც იყო.

ახლო წარსულის როგორც მიღწევებმა, ისე წარუმატებლობებმა, ბუნებრივია, თავი იჩინეს მიმდინარე წლის იანვარშიც, რომლის შედეგები საეროთოდ დადებითად არის მიჩნეული.

სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობისა და პროდუქციის რეალიზაციის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა, ზრდის ტემპმა ამ მაჩვენებლების მიხედვით შესაბამისად 7,8 და 11,1 პროცენტი შეადგინა. გაიზარდა საშუალო სადღეღამისო წარმოებაც. ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი წარსული წლების შესაბამის პერიოდთან შედარებით მკვეთრად შემცირდა. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა დაავეგბანი, ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპმა კი 5,5 პროცენტს მიაღწია, რაც აღემატება შარშანდელს.

გაუმჯობესდა კაპიტალური მშენებლობის საგეგმო დავალებათა შესრულების მოცულობითი მაჩვენებლები. მცირდება ჩამორჩენილ სამშენებლო სამმართველოთა და მოძრავ მექანიზებულ კოლონათა რიცხვი.

მიმდინარე წლის იანვარში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიღებულია მეტი რძე, გაიზარდა კვერცხის წარმოება, გადიდდა ძროხისა და ფურკამენის, ღორის, ცხვრის, თხის, მოქცეულის სულადობა, შემცირდა პირუტყვის გაწყდომა.

გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. იანვარში ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა 42 სახეობის ნაწარმს. ეს ადასტურებს, რომ შესრულდება ამ წლისათვის ნაკისრი ვალდებულებანი — ხარისხის ნიშანს მიიღებს კიდევ 200 სახეობის პროდუქცია.

მთელ რიგ საწარმოებში ძირფესვიანად იცვლება ახლად ამოქმედებულ სიმძლავრეთა ათვისებისადმი დამოკიდებულება. მაგალითად, ნავთობის მრეწველობაში სრული სიმძლავრით მუშაობს 1977 წელს საეკსპლოატაციოდ გადაცემული ყველა კაბეურღილი, ათვისებულია მანგანუმის მადნის მოპოვებისა და მანგანუმის კონცენტრატის გამომუშავების სიმძლავრეები.

ეს და ბევრი სხვა წარმატება მშრომელთა შემოქმედებითი ენთუზიაზმის შემდგომი ზრდის, პარტიული კომიტეტების ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების, სამეურნეო ორგანოების საქმიანობის გაუჯობესების პირდაპირი შედეგი.

განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ იანვარში ათობით საწარმოში წარმოების დაგეგმილი მოცულობანი შარშანდელზე ნაკლები იყო. უფრო მეტიც, ამათგან რვა საწარმოს შემცირებული საგეგმო დავალებანიც კი ვერ შესრულა. გასული წლის შედეგებთან შედარებით საერთოდ გაიზარდა ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი. ეს კი მეტად უარყოფითს გავლენას ახდენს წლიურ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაზე. რესპუბლიკის მშრომელებმა ხომ გადაწყვიტეს ერთ წელიწადში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 160 მილიონი მანეთის პროდუქცია. ეს ნიშნავს, რომ ყოველ თვეში გეგმის დამატებათ უნდა გამოიმუშაონ დაახლოებით 13 მილიონი მანეთის პროდუქცია. იანვარში კი გამოშვებულია შვიდი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, თუმცა დასახული მიჯნის მიღწევის ყველა შესაძლებლობა იყო: 3,5 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლეს სახელმწიფოს ჩამორჩენილმა საწარმოებმა, შემცირების მიზნით გეგმების კორექტირებამ კი ერთ თვეში კიდევ 2,5 მილიონი მანეთი შეადგინა.

იმის დამახასიათებელი მაგალითად, რომ საწარმოები ჩამორჩებიან, და თანაც ამისათვის სრულიადაც არა აქვთ ობიექტური მიზეზები, მოხსენებაში მოყვანილია შემდეგი ფაქტი. თუმცა მშენებლობაში ყველაზე ეფექტიტურ პროდუქციად ჩვენში აგური ითვლება, საგარეჯოს ქარხანამ და სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატმა იანვარში გეგმას მილიონი ცალი აგური დააკლეს. პირველ შემთხვევაში ეს გამოწვეული იყო მუშახელის ნაკლებობით, მაშინ, როცა იანვარში საგარეჯოს რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ყოველ შრომისუნარიან კოლმეურნეს მხოლოდ ოთხი დღე ჰქონდა გამომუშავებული(!) მეორე შემთხვევაში საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელები იმას იმოწმებენ, რომ გადაწყვეტილი არ იყო კარიერისათვის მიწის გამოყოფის საკითხი, მაგრამ ეს საკითხი სამტრედიის რაიასპკომს წინაშე მხოლოდ 20 იანვარს აღიძრა და ოპერატიულადაც გადაწყდა. ცხადია, რომ შესაბამისმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებმა დაუდევრობა გამოიჩინეს.

მთელ რიგ საწარმოებში დაშვებულ შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმების შესრულებაში ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ კვლავ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა გამოიყენონ მუშახელის დიდი რეზერვები. სამე ეხება საწარმოებში, სამშენებლო ორგანიზაციებში მუშაკთა ზეგეგმით რიცხვს, რომელთა დათხოვნა მექანიკურად გაუმჯობესებდა ეკონომიკურ მაჩვენებლებს. მუშაკები ან უნდა გადავიყვანოთ იმავე სისტემის სხვა საწარმოებში, სადაც ისინი აკლიათ, ან უზრუნველვყოთ პროდუქციის ზეგეგმითი წარმოება ისეთი ოდენობით, რომ გამართლდეს მუშაკთა ზედმეტი შტატი. ამასთან მთელი ეს პროცესი უნდა ვმართოთ უნარიანად, შეგნებულად.

შრომის ნაყოფიერების გაღიდების ქმედითი საშუალებაა ბრიგადული იჯარის მეთოდით მუშაობის გამოცდილების გავრცელება. ამავე დროს, რესპუბლიკაში ბრიგადული იჯარა ჯერ კიდევ ცუდად ინერგება, მას სათანდოდ არ უჭერენ ხელს სამეურნეო ხელმძღვანელები. ეს მეთოდი ნელა ვრცელდება ძირითადად იმის გამო, რომ ინჟინრულად ცუდად არის მომზადებული მშენებლობის ობიექტები, არადამაკმაყოფილებლად არის უზრუნველყოფილი ბრიგადები მასალებით, მექანიზმებით, თანაც არა იმიტომ, რომ ისინი არ არის, არამედ იმიტომ, რომ ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელის არ შეუძლია მოაგვაროს სამშენებლო კონვეიერის ყველა რგოლის ზუსტი ურთიერთკავშირი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ძირითადი ყურადღება მიაპყრეს შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საკითხებს, კერძოდ, აღინიშნა, რომ სამინისტროების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელი როდი არის გამსჭვალული დისციპლინის განმტკიცებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით.

პირუთვნელი საუბარი გაიმართა იმ საწარმოთა პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის შესახებ, რომლებიც ვერ უშვებენ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციას, აჭიანურებენ ნაწარმის ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მოსაპოვებლად ნაწარმის მომზადებასა და წარდგენას. კიდევ უფრო მწვავედ გააკრიტიკეს ისეთი საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც უვარგის პროდუქციას უშვებენ.

იმასთან ერთად, რომ ბევრ საწარმოში ეწევიან დიდ მუშაობას სიმძლავრეთა ათვისებისათვის როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმმა მოითხოვეს, არის ფაქტები, როცა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს აგდებულად ეკიდებიან, ურიგდებიან შეცდომებსა და ხარვეზებს, რომლებიც დიდი ხნით აჭიანურებენ დასახულ სიმძლავრეთა მიღწევას. ხშირად ზომებს იღებენ მხოლოდ მშენებლობის დროს, სათანადო ყურადღებას კი აშენებული ობიექტის გამოყენებას არ უთმობენ. ეს, კერძოდ, შეეხება ძანგანუმის ელექტროლიზური ორანგის საწარმოო სიმძლავრეებს რუსთავის ქიმიურ ქარხანაში, მეორეული პოლიეთილენის საწარმოს სიმძლავრეებს „საქპოლიმერკონტეინერის“ გაერთიანების წულუკიძის ფილიალში, ბარიტის მადნის მოპოვებას ხაიშში. რაც შეეხება ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის სიმძლავრეთა ცუდ გამოყენებას, ამის მიზეზები დაპროექტების პროცესში უნდა ეძებოთ; მაგრამ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისათვის გადამწყვეტი ღონისძიებანი არ გატარებულა ორივ ქარხნის, არც რესპუბლიკის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელებს.

სერიოზული ნაკლოვანებანია სიმძლავრეთა ათვისების მხრივ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ცუდად იყენებენ ბევრ მეცხოველეობის კომპლექსსა და მეფრინველეობის ფაბრიკას.

მომხსენებელი და სხვა ორატორები დეტალურად შეეხნენ საქმის მდგომარეობას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. აღნიშნეს რა დადებითი ტენდენციები, მათ გააანალიზეს ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში. მაგალითად, ცალკეული რაიონების მეურნეობებმა დროულად ვერ მოამზადეს მზარდი საგაზაფხულო კულტურები დასათესად, ჩამორჩნენ საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესლის მომზადებაში.

იანვარში დასაკლავად ნაკლები პარუტყვი და ფრინველია რეალიზებული, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. თუმცა რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობები ზრდიან რძის წარმოებას და აღიდებენ საშუალო წველადობას, მაგრამ მთელია რიგი რაიონებმა შეამცირეს მთლიანი ნაწველი. არის ბევრი ხარვეზი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომზადებაშიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის გადწყვეტილებების შესაბამისად ყველგან იქმნება და უკვე ამოქმედდა ორგანიზებულობის ამაღლებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის, ნეგატიური მოვლენების ლიკვიდაციისათვის ბრძოლის კომისიები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ მიზანშეწონილია ასეთი კომისიების შექმნა, დადებითად შეაფასეს ზოგიერთი მათგანის პირველი ნაბიჯები. აღნიშნეს, რომ საჭიროა დაჩქარდეს მათი აქტივიზაცია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახეს იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უშლიან რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, აფერხებენ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის მიმ[illegible]ნარეობას. (საინფორმი).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲛᲘᲠᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲐᲨᲕᲘᲠᲝᲕᲡ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავთ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, დაბადების მესამოცე წლისთავს.

გისურვებთ თქვენ, პეტრე მირონის ძევ, ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საბჭოთა კავშირის გმირისათვის ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. პ. მ. მაშეროვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, ბელორუსიის კომპარტიის ცენ

შემოინარჩუნოთ და განვამტკიცოთ საიუბილეო წლის შრომითი შემართება და რიტმი

სამშობლოს ჯილდო გვავალებს!

გადაჭარბებით შევასრულოთ სახელმწიფო საგეგმო დავალებები, სოციალისტური და სახელშეკრულებო ვალდებულებები

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესება, მისი ძმედითობის ამაღლება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან

ახალი ძალით

წლეულს დაზოგილი იქნება 50 ათასი კვადრატული დეციმეტრი ფეხსაცმლის წასალა, ხუთწლედში კი — 240 ათასი კვადრატული დეციმეტრი, — კისრულობს ნოვატორი მუშა

ყველა მშრომელი ადამიანის გული სიხარულით ადავსო ცნობამ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ჩვენი რესპუბლიკის და მისი დედაქალაქის — თბილისის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოების შესახებ. თავდადებული შრომის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის, დედაქალაქის მშრომელებმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან სასახელო წარმატებას მიაღწიეს.

მოპოვებული შედეგები და ამით მონიჭებული სიამაყის გრძნობა, უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, მუშათა კლასის წარმომადგენლებისათვის, ყველა შრომელი ადამიანისათვის.

საიუბილეო წელს გაწეული შრომის ეს მონაპოვარი, რომელიც დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავის აღსანიშნავად ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაშლილი სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით იქნა მიღწეული და რომელმაც პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი შრომის ესოდენ დიდი შეფასება დაიმსახურა, მეათე ხუთწლეულის მესამე წელს კიდევ უფრო რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს გვისახავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილა სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრებაში მოპოვებული ეს დიდი ჯილდო კიდევ უფრო მეტ შემოქმედებითს აღმავლობასა და სტიმულს შემატებს. რაც ერთგვარად აღგვაფრთოვანებს და ვვრაზმავს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მიერ ხუთწლედის მესამე წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების შესრულებისათვის — **დავამზადოთ 160 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია!**

ჩვენმა კოლექტივმა გასული წელი მნიშვნელოვანი წარმატებით დაამთავრა. საიუბილეო წელს გეგმის გადამეტებით 709 ათასი მანეთის პროდუქცია გავასაღეთ, ამ მხრივ არც წლევანდელი მაჩვენებლები ურიგო. **პირადად მე გადავწყვიტე წელს დავზოგო 50 ათასი კვადრატული დეციმეტრი საძირე ტყავი, მთლიანად ხუთწლედში კი ვალდებულებას ვკისრულობ დავზოგო 240 ათასი კვადრატული დეციმეტრი ფეხსაცმლის საძირე მასალა.**

დიდი ჯილდოს პასუხად დედაქალაქში ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება. თითოეული მშრომელი ერთხელ კიდევ თვალს ავლებს წინათ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, სახავს ახალ გზებს, რათა წარმოების ინტენსიფიკაციით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიოს მეათე ხუთწლედის მესამე წელს. მეფეხსაცმელეები კვლავ წარმატებით დგანან საიუბილეო წლის შრომითს ვახტზე.

გ. რიმნისთაველი,
ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გამომკვეთი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

სიტყვას არ გავტეხთ

1978 წელს გეგმის გადამეტებით შეასრულეთ 135 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოებს, — ასეთია ჰიაფურელ მშენებელთა ვალდებულება

ხიამაუესა და ძალას გმატებს ადამიანს, როდესაც შრომას გიფასებენ. ჩვენ კი, ჰიაფურელ მშენებლებს, რამდენიმე წელია ეს ბედნიერება არ მოგვკლებია. უკვე ზედიზედ ვიმარჯვებთ რესპუბლიკურ და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რასაც გონივრული ხელმძღვანელობით, კარგად ორგანიზებული შრომით ვაღწევთ.

ამ დღეებში დიდი საზეიმო გაწყობაა მშენებლთა კოლექტივში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებასთან ერთად სამშენებლო ტრესტის სახელი შეტანილი იქნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დაფაზე.

ესოდენ დიდი დაფასება იმით დაკიმსახურეთ, რომ განვლილ საიუბილეო წელს ვადამდე გადაჭიცით საექსპლოატაციოდ სამი სკოლა, ერთი საბავშვო ბაღი, 24.260 კვადრატული მეტრი ბინები, რომელშიც ახალმოსახლეობა იზიარებ 550 ოჯახმა. გარდა ამისა განრიგის დაცვით და „ძარგი“ შეფასებით დავამთავრეთ ყველა გათვალისწინებული ობიექტის მშენებლობა. გავაიაფეთ მისი თვითღირებულება, დავზოგეთ მასალები.

ახალმა გამარჯვებამ ახალი ჰორიზონტები და მიჯნები დაგვისახა. სახელდახელოდ მოწყობილ მატრაგზე ერთმანეთის ცვლიდნენ ჩვენი სახელოვანი მშენებლები, მემონტაჟეები, სანტექნიკოსები, მექანიზატორები.

კორექტივი შევიტანეთ წინათ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებში. გავაიწყვიტეთ წლის გეგმის გადამეტებით შევასრულოთ 135 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოები, საკუთარი ძალებით კი — გამოვუშვათ 50 ათასი მანეთის სამშენებლო კონსტრუქციები, საბინაო მშენებლობის წლიური დავალების განაღდებას სამშობლოს ვუპატაკებთ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავისათვის — 7 ოქტომბრისათვის. სამშენებლო ობიექტებზე შრომის ნაყოფიერებას გავადიდებთ 0,5 პროცენტით, თვითღირებულებას შევამცირებთ 1 პროცენტით, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის გზით მივაღწევთ 60 ათას მანეთ წლიურ პირობითს ეკონომიას, დავზოგავთ 500 ტონა ცემენტს, 50 ტონა ლითონს, 200 კუბურ მეტრ ხე-ტყის მასალას, 400 კვადრატულ მეტრ მინას.

ჩვენ სახელოვან კოლექტივს სიტყვის გატეხვა არ სჩვევია. ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება სამშენებლო სამმართველოებსა, კომკავშირულ ბრიგადებსა და ცალკეულ მშენებლებს შორის. მაღალ შეფასებას მაღალი შრომით ვუპასუხებთ.

ჯ. რაზმაძე,
„ჰიაფურმანგანუმმშენის“ № 9 სამშენებლო ტრესტის მმართველი.

გურჯაანის რაიონის მშრომელთა 1978 წლის ვალდებულებანი

რაიონის სამრეწველო საწარმოები მთლიანი პროდუქციის გეგმას შეასრულებენ 20 დეკემბრისათვის, ხოლო რეალიზაციის გეგმას — 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით აწარმოებენ 2 მილიონ 495 ათასი მანეთის პროდუქციას;

პროდუქციის მატებას ძირითადად უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით;

პროდუქციის თვითღირებულებას გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 1 პროცენტით შეამცირებენ.

მიიღებენ 1,5 მილიონ მანეთზე მეტ ზეგეგმით მოგებას.

გათვალისწინებულია ხუთწლედის სამი წლის ზეგმა შეასრულონ დიდი ოქტომბრის 61-ე წლისთავისათვის, ხოლო მთელ რიგ საწარმოებს დასახული აქვთ შეასრულონ იგი სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის — 7 ოქტომბერს.

მაჭყიდონ სახელმწიფოს 85 ათასი ტონა ყურძენი, გეგმით გათვალისწინებული 84 ათასი ტონის ნაცვლად, 2600 ტონა ხილი, გეგმით გათვალისწინებული 2.500 ტონის ნაცვლად, 2.400 ტონა ბოსტნეული, გეგმით გათვალისწინებული 2345 ტონის ნაცვლად, 6500 ტონა ბაღჩეული გეგმით გათვალისწინებული 6000 ტონის ნაცვლად, 2600 ტონა ხორცი, გეგმით გათვალისწინებული 2500 ტონის ნაცვლად, 5300 ტონა რძე გეგმით გათვალისწინებული 5100 ტონის ნაცვლად, 1700 ათასი ცალი კვერცხი გეგმით გათვალისწინებული 1650 ათასის ნაცვლად, 600 ტონა მარცვლეული, გეგმით გათვალისწინებული 500 ტონის ნაცვლად.

მშენებლები სამუშაოთა წლიურ პროგრამას შეასრულებენ 20 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ გადასცემენ 7 ობიექტს;

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში ორი პროცენტით გაიზრდება;

დაზოგავენ 90 ტონა ცემენტს, 20 ტონა ლითონს, 25 კუბურ მეტრ ხე-ტყის მასალას, ეკონომიის გზით სულ დაზოგება 200 ათასი მანეთი;

ხუთწლედის სამი წლის პროგრამას მშენებლები შეასრულებენ 1978 წლის 7 ოქტომბრისათვის;

ავტოტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის გეგმა შესრულდება 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გადაიყვანენ 40 ათას მგზავრს, ღიზოგავენ 21 ტონა საწვავ-საპოხ მასალებს;

საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის გეგმა გათვალისწინებულია შეასრულონ 20 დეკემბრისათვის, დაზოგონ გეგმის გადამეტებით 2,5 პროცენტი საწვავ-საპოხი მასალები, შრომის ნაყოფიერება აამაღლონ 2,5 პროცენტით, ხოლო მოგების გეგმა — 2 პროცენტით;

რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთბრუნვის გეგმა შესრულდება 18 დეკემბრისათვის, ერთი ვაგონის ოდენი საშუალოდ გეგმასთან შედარებით შემცირდება 15 წუთით, მგზავრთა გადაყვანის გეგმა შესრულდება 15 დეკემბრისათვის, ხოლო სამი წლის გეგმა — 1978 წლის 7 ოქტომბრისათვის;

საცალო საქონელბრუნვის გეგმას შეასრულებენ 25 დეკემბრისათვის, ხოლო მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმას — 15 დეკემბრისათვის. (საქინფორმი).

სიხარულიც, მოვალეობაც

საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად, ქუთაისელები, მათ შორის, — აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები დიდ სიხარულს განიცდიან იმის გამო, რომ მთლიანად ჩვენი რესპუბლიკა და ქალაქ ქუთაისის სხვა მოწინავე საწარმოებთან ერთად ჩვენი კოლექტივიც გასული წლის შედეგების მიხედვით დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ეს საპატიო ჯილდო მოპოვებულია მშრომელთა თავდადებული შრომით, მათი გამრჯე მარჯვნითა და იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებსაც რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა აბორიგიელებს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

შარშან ქუთაისელმა ფეიქრებმა ვეგმის გადამეტებით აწარმოეს მილიონ 17 ათასი მანეთის პროდუქცია. წინა წელთან შედარებით წარმოების მოცულობა 2,3 პროცენტით გაიზარდა. საერთოდ წარმოებულ პროდუქციაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 პროცენტისა პირველი ხარისხის პროდუქციათ 65,9 პროცენტი შეადგინა. ახლა ჩვენთან ხარისხისნიშნიანი ხუთი დასახელების პროდუქცია მზადდება. კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა შარშანდელი წელი საჩერ-სართავი წარმოების კოლექტივმაც. პროდუქციის წარმოების დავალება 105,5 პროცენტით შესრულდა და, რაც მთავარია, წლების მანძილზე ეს წარმოება არარენტაბელური და ზარალიანი რომ იყო, შარშან, პირველად, შრომის სწორი ორგანიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და შიდა რეზერვების ამოქმედების შედეგად თავი დაიღწია ზარალიანობას.

საქართველოს სსრ და მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების საკავშირო დროშით დაჯილდოვებასთან დაკავშირებით გუშინ საწარმოში გამართა მიტინგი, რომელზეც ფეიქრებმა 1978 წლისათვის ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

მ. ბოჰორიშვილი,
ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს საჩერ-სართავი წარმოების უფროსი.

რწმენა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

მართალი გითხრათ, მე ველოდი ამ დროშას, ელოდა ბევრი ქართველი მწერალი, ვინც გასულ წელს თვალყურს ადევნებდა ჩვენი ხალხის შრომას მინდერად თუ ფაბრიკა-ქარხნებში.

ახლა ყველა ფონი გაქრილია, საკავშირო დროშა ნაბოძებია და შეიძლება ზოგი რამ ადვილად მოეჩვენოს ადამიანს. სიხარულის დროს ხშირად გვავიწყდება. რა ძვირი დაჯდა ეს სიხარული, რა სულის ძალა და თავდადება იყო საჭირო, რომ საქართველოს ეს კარგი დღე გათენებოდა. ასე უანგაროდ თავდაუზოგველად მხოლოდ დიდი რწმენა. მხოლოდ ნათელი მიზანი თუ გაიყოლიებს ადამიანს თავის მშვენიერ გზაზე.

თუ არა დიდმა რწმენამ, მაშ რამ მოაბდინა გასულ წელიწადს ეს სასწაული?! ამინდის მხრივ უფრო ავი წელიწადი დიდი ხანია არ უნახავს საქართველოს. როგორ გადაგვიდგა ის დალოცვილი ბუნება! გაზაფხულზე უბედური ღვარცოფი აზეტასა და თელავში. მოვიდა ივნისი და ხშირმა წვიმებმა ვაზის წამლობა არ დააცალა ქართლ-კახეთის მევენახეებს. გაუგონარი გვალვა, როდესაც სამინდის თოხი უნდოდა და ასევე გაუგონარი თავსხმა, როდესაც შემოსულ დუყს ქალის თითები ელანდებოდა. გასულ წელს, შემოდგომის პირზე, სამეგრელოს ჭალებში თავნაყარი სიმინდი ყელამდე წყალში იდგა და უდროოდ დამჭკნარი ხაშარი კისერმოტეხილი ეკიდა ღერზე. და ბოლოს მთლად გაუგონარი ამბავი: ჩემი ხნის კაცს არ ახსოვს, რომ კახეთში რთველის დროს სეტყვა მოსულიყოს, მაგრამ ჩვენი სოფელი ამ ჭირსაც მოესწრო...

მომაგონდა ერთი ძველი ქართული ზღაპარი:

ერთ გლეხს თურმე ეშმაკი შეუჩნდა, რატომ სული არ მომყიდეო და, — უსაშველო გვალვა დაატეხა იმ კაცის სამარკლავ სიმინდს. გაქვავებულ ნიადაგს თოხმა პირი ვეღარ მოჭკიდა; მხოლოდ დილა-ადრიანად, სანამ მიწას ღამის ნამი შეაშრებოდა, წამოვარდებოდა ის გლეხი და ორი ნაბდის გაშლა ყანის გამარგვლას ძლივს-მოასწრებდა. ჩამოიარა ღმერთმა და გლეხის ჭაპან-წყვეტა რომ დაინახა, გულში გაიფიქრა, გამრჯე კაცი ეშმაკმა როგორ უნდა დაჯაბნოსო! ადგა და ოთხი ხელი ვამოასხა გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს.

ოთხი ხელი! არა, რატომ ორჯერ ოთხი ხელი არ გამოიხსენ ჩვენმა მშრომელებმა, როდესაც ყანას გაუჭირდა, ვენახს გაუჭირდა, ჩაის ბაღს გაუჭირდა. ოღონდ ღმერთმა კი არა, პარტიის სიტყვამ ჩამოიარა და ერთხელ კიდევ გაახსენა ქართველ კაცს, სიტყვის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო.

მე ვეამბორები ამ დროშის კალთას, რადგან იგი წმინდა ხელებმა მოუპოვეს საქართველოს!

ხუტა ბერულავა

ისევ გამარჯვება!

ისევ გამარჯვება!
ჩემო საქართველოვ,
ამ დღეს შენი შვილი
როგორ დაივიწყებს!
მზეო სანატრელო,
მზეო თვალნათელო,
შენი მოამაგე
ხალხი დაიფიცა!

შენი ამაღლება,
შენი სიხარული,
ჩვენი სიცოცხლეა,
ჩვენი მიზანია.
შენი მეგობრები,
ძმური სიყვარულით
ისევ ულამაზეს
ფიქრებს გიგზავნიან!

ძალას გვიორკეცებს
ცივლი გადამდები —
გმირთა შეჯიბრება,
გულთა მღელვარება.
დროშა ხელთ გიპყრია,
დროშა გამარჯვების
და ცას ეფინება
მისი ელვარება.

წმინდა აღტაცება,
გულში რომ ანთია,
ყველა გლეხის არი,
ყველა მუშის არი.
და გზას გვიჩირაღდნებს
შენი კომპარტია,
შენგან დალოცვილი,
მხნე და უშიშარი!

12 თებერვალი, 1978.

ყველა — როგორც ერთი

ჩვენმა მეურნეობამ ჯერ კიდევ 1 ნოემბრისათვის შეასრულა საიუბილეო წლის გეგმა-ვალდებულება. გეგმით გათვალისწინებული 3.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 4.820 ტონა ყურძენი მივიყიდეთ, 2 მილიონის ნაცვლად 2,5 მილიონი ვაზის ნერგი მივიღეთ და სამეურნეო წელი დაახლოებით მილიონი მანეთი მოგებით დავამთავრეთ.

სწორედ ეს შრომითი მიღწევები დაედო საფუძვლად იმას, რომ ჩვენი მეურნეობის კოლექტივმა გაიმარჯვა წარმოების ეფექტიანობისა და მუშობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1977 წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ესაა ერთ-ერთი ფაქტორი, ეს ... ...

დეპუტატი და ცხოვრება

მიკრორაიონის სახალხო საბჭო მოქმედებს

ქუთაისში, ავტომშენებელთა დასახლებაში, 1974 წლის სექტემბრიდან შეიქმნა და მუშაობს სახალხო საბჭო, რომლის დეპუტატად არჩეულ იქნა 50 მოწინავე ადამიანი, ხოლო კომიტეტის შემადგენლობაში გაერთიანდა 11 დეპუტატი.

ამ ნიახლემ საქმიანობა გაუადვილა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, რადგან, როგორც ცნობილია, ავტომშენებელთა დასახლება მთელი ქალაქია მცხოვრებთა რაოდენობითა და თავისი სამრეწველო პოტენციალით.

მიკრორაიონის სახალხო საბჭოს შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქალაქის საზოგადოებრიობის ცხოვრებაში. უპირველეს ყოვლისა ამაღლდა მშრომელთა აქტიურობა თვითმმართველობაში, ხელი შეუწყო დემოკრატიული საწყისების გაფართოებას, მოსახლეობის მიერ კონტროლისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების სისტემის შემდგომ განმტკიცებას.

სახალხო საბჭომ, მისნა კომიტეტმა თავის საქმიანობაში ამ ერის მანძილზე მუშაობის დიდი გამოცდილება დააგროვა ვფიქრობთ, ეს გამოცდილება ხასარგებლო იქნება იმაოთვის, ვინც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში მიკრორაიონების სახალხო საბჭოების სახელით მოქმედებენ.

მოვუსმინოთ ქუთაისის მიკრორაიონის სახალხო საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან სინაურიძეს:

სახალხო საბჭოს არჩევნების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ მშრომელთა შორის ორგანიზაციულ მუშაობას. ყოველნაირად ვცდილობთ, რომ სესიები და კომიტეტის სხდომები ჩატარდეს მაღალი აქტიურობის ვითარებაში და მიღებული გადაწყვეტილებები უთუოდ სრულდებოდეს. ამ საქმეში ჩვენ სისტემატურად გვრძნობდით ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებასა და მხარდაჭერას.

სესიებს ვაწყობდით სამ თვეში ერთხელ, ხოლო კომიტეტის სხდომებს — თვეში ორჯერ. განვლილ პერიოდში სესია თერთმეტჯერ მოვიწვიეთ, ხოლო კომიტეტის სხდომა — 69-ჯერ.

სახალხო საბჭოსა და მისი კომიტეტის ყურადღების ცენტრშია ქალაქის მიკრორაიონში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, მოქალაქეთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში საბჭრო წესებისა და სანიტარიული წესრიგის დაცვის, საცხოვრებელი სახლების თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, საკოლმეურნეო ბაზრის მუშაობის გაუმჯობესების, წყლისა და ელექტროენერგიის მომჭირნეო ხარჯვის, სპასპორტო რეჟიმის განმტკიცების, საფოსტო და სატელეფონო მომსახურების ამაღლების, სანიტარული მომსახურების გაუმჯობესების, საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის, სპორტული მოედნების მშენებლობის, მუშა-ახალგაზრდობასთან მუშაობის გაუმჯობესების, მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისა და სხვა აქტუალური საკითხები.

მიკრორაიონის საბჭოს კომიტეტში პერიოდულად ეწყობა ღონისძიებები, რომლებზეც განვიხილავთ ამომრჩეველთა განაწესის შესრულების მიმღინარეობას და მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ტკივნეულ საკითხებს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არჩევნების დროს ამომრჩეველთა 49 განაწესიდან ყველა შესრულებულია.

მშრომელთა მოთხოვნით დასახლებაში დამატებით მოეწყო მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, საერთო სარგებლობის ავტოსადგომები, შინმოუსვლელთა სკვერი, ეიგო არხზე გადასასვლელი ხიდები და ცენტრალური ჭიშკის გაზონები, კეთილმოწყობის სამუშაოები ჩაუტარდა საშუალო სკოლების ეზოებს, გაიხსნა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ობიექტები. დეპუტატ შუქრი გიგინეიშვილის ინიციატივით ავტომშენებელთა ქალაქში საფუძველი ჩაეყარა ახლადდაქორწინებულთა ხეივანს და სპორტული მოედნის კომპლექსს.

მნიშვნელოვნად ამაღლდა საბჭოს დეპუტატებისა და მშრომელთა აქტიურობა. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ცალკეული საკითხების მომზადებაში მონაწილეობა მიიღო დეპუტატთა 95 პროცენტმა. დეპუტატების მიერ წამოყენებული 14 საპრმლეძო საკითხიდან ყველა დადებითად გადაწყდა. კომიტეტის აქტივშია მომსახურეობის სფეროში მთელი რიგი მტკივნეული მხარეების გამოვლენა და აღკვეთა.

ჩამოყალიბებულია და მოქმედებს მეზობლური დავის შემსწავლელი კომისია, რომელიც სწავლობს დავის გამომწვევ მიზეზებს და სათანადო ღონისძიებებს ახორციელებს მობინადრეებს შორის ეთიერმეზობლური ურთიერთობის მისაღწევად. ქმედითი ღონისძიებანი ხორციელდება იმ მოქალაქეთა შორის, რომლებიც ოჯახად არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებს. მართალია, მშრომელთა აქტივის მხარდაჭერით მიკრორაიონის ტერიტორია ნაწილობრივ განთავისუფლდა ფუნებართვოდ აგებული ავტოსადგომებისა და სხვა ნაგებობებისაგან, მთლიანად აღიკვეთა ქალებებისა და ღრეობების გამართვა, შედარებით მოწესრიგდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა, შემცირდა დარღვევები სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, მაგრამ ყოველივე ეს თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს, რადგან ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში ამ ბოლო დროს მოწყობილი შემოწმებების შედეგად ასეული გამოვლინდა სხვადასხვაგვარი სერიოზული დარღვევები. გარდა ამისა, არის არცთუ ცოტა შემთხვევები, როცა მიკრორაიონში მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სამინაო-კომუნალური ფონდის მოვლა-პატრონობის, მისი მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების, ბარისხს, ჯერ კიდევ დაბალია მოსახლეობის სამინაო-კომუნალური მომსახურების დონე.

მიკრორაიონის სახალხო საბჭოს კომიტეტის ინიციატივითა და დასახლების მცხოვრებთა მოთხოვნის საფუძველზე საქალაქო სამმართველო აღმასკომმა საერთო სარგებლობის ავტოსადგომებისათვის გამოყო ტერიტორია ჩკალოვის, ნერნიშევსკის და ბოკიას ქუჩის გაგრძელებაზე — ჯერჯერობით საერთო სარგებლობის სამ ავტოსადგომში დადგმულია 85 მოძრავი გარაჟი, შესაძლებელია ეს ღონისძიება გაფართოდეს, რაკი ძირითადად გამორიცხვის საკუთარებელ ეზოებში თვითნებური გარაჟების მშენებლობას.

ელექტროენერგიის რაციონალური ხარჯვის, მისი სწორი ექსპლოატაციისა და გამოყენების საქმეში არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით განხორციელდა ღონისძიებანი, გამოვლინდა ელექტროენერგიის მრავალი მიმტაცებელი, გაძლიერდა ბრძოლა ელექტროენერგიის დაზოგვისათვის.

სახალხო საბჭოს კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმიდს პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, აღრიცხული იყო 42 დროებითი უმუშევარი, მუშაობაში უკვე ჩაებმა 41.

1976 წელს მიკრორაიონის მოსახლეობამ გამოზარდა ღორები და სახელმწიფოს მიჰყიდა 520 ცენტნერი ხორცი, ხოლო 1977 წლის ვალდებულებებით ნაკისრი 550 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 650 ცენტნერი.

